



შემოთავაზებული გამოსასწორებელი ლონისძიებების გეგმა

პროექტის ნომერი: 51257-001

სესხის ნომერი: 3803

აპრილი, 2023

საქართველო: ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტი

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელება შეზღუდულია დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებამდე. დამტკიცების შემდეგ, წინამდებარე დოკუმენტის კლასიფიკაცია შეიცვლება, გახდება საჯარო და გამოქვეყნდება ADB-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის შესაბამისად.

Asian Development Bank

ვიცე-პრეზიდენტი	შიქსინ ჩენი, ოპერაციები 1
გენერალური დირექტორი	ევგენი ჟუკოვი, ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი (CWRD)
გენერალური დირექტორის მოადგილე	ქსიაოჰონგ იანგი, CWRD
უფროსი მრჩეველი	ნიანშან ჟანგი, CWRD
დირექტორი	კამელ ბუჰმადი, პასუხისმგებელი ოფიცერი, მუდმივი წარმომადგენლობა საქართველოში (GRM), CWRD
გუნდის ხელმძღვანელი	კამელ ბუჰმადი, აქტივების პორტფელის მართვის უფროსი სპეციალისტი, GRM, CWRD
გუნდის წევრები	მაიკლ ჯ. ბიჩამი, სოციალური განვითარების მთავარი სპეციალისტი (საგარანტიო მექანიზმები), CWRD ლანა დევდარიანი, პროექტის უფროსი ასისტენტი, GRM, CWRD კოსტრადია მუკლისა ემზიტა, იურიდიული მრჩეველის თანაშემწე, იურიდიული მრჩეველის ოფისი (OGC) რიშან გ. ოუსეფი, უფროსი იურიდიული მრჩეველი, OGC ნინეტ რ. პაჯარილაგა, გარემოს დაცვის უფროსი სპეციალისტი (საგარანტიო მექანიზმები), CWRD თეა პაპუაშვილი, პროექტის ასოცირებული ოფიცერი (ინფრასტრუქტურა), GRM, CWRD

ნებისმიერი ქვეყნის პროგრამის ან სტრატეგიის მომზადების, პროექტის დაფინანსების, ან წინამდებარე დოკუმენტში რაიმე კონკრეტული ტერიტორიის ან გეოგრაფიული არეალის მოხსენიების ან მითითებისას, აზიის განვითარების ბანკი არ ისახავს მიზნად ტერიტორიის ან არეალის სამართლებრივი თუ სხვა სტატუსის შეფასებას.

სარჩევი

I. შესავალი	1
II. გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა და შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა.....	2
III. განხორციელების ღონისძიებები.....	3
IV. რეკომენდაცია.....	3

დანართები

1. გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა.....	4
2. შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა	7
3. შესაბამისობის შემსწავლელი საბჭოს შენიშვნები გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტთან დაკავშირებით	10

I. შესავალი

1. 2019 წლის 1 აგვისტოს, აზიის განვითარების ბანკმა (ADB) დაამტკიცა 370,238,000 ევროს ოდენობით რეგულარული სესხი საქართველოს ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტისთვის.¹ პროექტი მიზნად ისახავს კავშირის, უსაფრთხოებისა და საარსებო წყაროების გაუმჯობესებას ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის გასწვრივ. მისი შედეგები მოიცავს 23-კილომეტრიანი კლიმატმედეგი, ორზოლიანი ავტომაგისტრალის მშენებლობას ქვეშეთიდან კობამდე. აღმასრულებელი უწყებამ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; განმახორციელებელი უწყებამ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. პროექტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის თანადაფინანსებით ხორციელდება.

2. პროექტი, რომელსაც მინიჭებული აქვს კატეგორია „კომპლექსური“, ხასიათდება საინჟინრო, სამშენებლო და უსაფრთხოების გარანტიებთან დაკავშირებული სირთულეებით, განსაკუთრებით იმიტომ, რომ სატრანსპორტო არტერია მოიცავს მრავალფეროვან და შთამბეჭდავ რელიეფს. საპროექტო გზა გაივლის მიუვალ, მთიან ხეობას, რომელიც, ძირითადად, მიუწვდომელია ზამთრის პერიოდში, ნოემბრიდან აპრილამდე. საპროექტო გზა დაპროექტდა ევროკავშირის სტანდარტებით და ითვალისწინებს ხუთ გვირაბს და ხუთ ხიდს, მათ შორის ყველაზე გრძელ გვირაბს საქართველოში (9 კილომეტრი, საიდანაც განხორციელებულია 55%). სამშენებლო სამუშაოებისთვის საპროექტო გზა დაყოფილია ორ ლოტად: ლოტი 1 წვერედან კობამდე და ლოტი 2 ქვეშეთიდან წვერემდე. ADB და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ახორციელებენ 1-ელი ლოტის ხელშეკრულებას, ხოლო მე-2 ლოტის ხელშეკრულების ერთადერთი დამფინანსებელია ADB.

3. 2021 წლის 10 მარტს, ADB-ის შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) დაადგინა, რომ საჩივარი, რომელიც ხსენებულმა ორმა პირმა შეიტანა „მწვანე ალტერნატივაში“, არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც მოქმედებს მომჩივანთა წარმომადგენლის სახით, დასაშვებად იქნა ცნობილი განსახილველად ADB-ის 2012 წლის ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის (AMP) შესაბამისობის განხილვის ფუნქციის თანახმად. ADB-ის დირექტორთა საბჭომ შესაბამისობის განხილვა 2021 წლის 21 აპრილს დაამტკიცა. განხილვა დასრულდა CRP-ის დასკვნითი ანგარიშით, რომელიც საბჭომ 2023 წლის 24 იანვარს დაამტკიცა.

4. CRP-ის საბოლოო ანგარიშში განისაზღვრა პირდაპირი და არსებითი ზიანი, რომელიც გამოწვეულია ADB-ის მიერ საკუთარ პოლიტიკასა და პროცედურებთან შეუსაბამობით ოთხ სფეროში: (i) მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, (ii) სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება და პროექტის სარგებელი, (iii) შემოსავალი და საარსებო წყაროების აღდგენა და (iv) მონიტორინგი და ზედამხედველობა.² AMP (პარაგრაფი 190)

¹ ADB. 2019. [პრეზიდენტის ანგარიში და რეკომენდაცია დირექტორთა საბჭოს: საქართველოსთვის შთავაზებული სესხი ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის \(ქვეშეთი-კობი\) გზის პროექტისთვის](#). მანილა

² ADB. 2023. დასკვნითი ანგარიში [შესაბამისობის განხილვის](#) შესახებ. საბჭოს მოთხოვნა No. 2021/1 - ჩრდილოეთი-სამხრეთის დერეფნის (ქვეშეთი-კობი) საავტომობილო გზის პროექტი საქართველოში (აზიის

ითვალისწინებს, რომ „თუ CRP დაადგენს, რომ ADB-ის შეუსაბამობამ გამოიწვია პირდაპირი და არსებითი ზიანი, ხელმძღვანელობა წარმოადგენს გამოსასწორებელ ღონისძიებებს, რათა პროექტი შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ADB-ის პოლიტიკასთან და მოხდეს რეაგირება შესაბამის ზიანზე“. აქედან გამომდინარე, CRP-ის საბოლოო ანგარიშში აღნიშნულია გამოსასწორებელი ღონისძიებების საჭიროება ოთხი სფეროს ფარგლებში (დანართი 1).³

5. წინამდებარე დოკუმენტი ასახავს ხელმძღვანელობის მიერ შემოთავაზებულ ღონისძიებებს პროექტის ADB-ის პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოსაყვანად ან/და ზიანის შესამცირებლად. იგი წარედგინება საბჭოს დასამტკიცებლად AMP-ის შესაბამისად (პარ. 191). ღონისძიებები განხილული და შეთანხმებული იქნა მსესხებლის მიერ და დოკუმენტი მოიცავს CRP-ის 2023 წლის 11 აპრილს მიღებულ შენიშვნებს (დანართი 3).

II. გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა და შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა

6. მსესხებელმა და ADB-ის ხელმძღვანელობამ გულდასმით განიხილეს CRP-ის საწყისი მიგნებები შესაბამისობის განხილვის პროცესში და მოამზადეს პროექტის დონის სამოქმედო გეგმები 2021 და 2022 წლებში CRP-ის შუალედურ ანგარიშებში გამოვლენილი შესაბამისობის საკითხების გადასაჭრელად. ამ პროაქტიულმა მიდგომამ ხელი შეუწყო გამოსასწორებელი და ოპტიმიზაციის ღონისძიებების დროულ ჩართვას პროექტის განხორციელების პროცესში, რითაც გაიზარდა მომჩივანთა მიერ წამოჭრილ საკითხებზე რეაგირება. შემოთავაზებული დროში გაწერილი გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა (RAP) მოცემულია 1-ელ დანართში. ADB დაეხმარება მსესხებელს ამ ღონისძიებების განხორციელებაში, რათა მითითებულ ვადამდე რეაგირება მოახდინოს CRP-ის მიგნებებზე ADB-ის შეუსაბამობასთან დაკავშირებით.

7. მე-2 დანართი, რომლის მიზანია RAP-ის შევსება, ასახავს შემარბილებელ ქმედებებს, რომლებიც ხორციელდება CRP-ის მიერ შემოთავაზებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ოთხ სფეროში: (i) გარემოზე ზემოქმედების შეფასება და გამოწვეული ზემოქმედების შერბილება; (ii) მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებთან დაკავშირებით საბჭოს დასტურის შემდგომი შეუსაბამობა; (iii) არასასურველი სოციალური ზემოქმედება თემის მიწაზე ხელმისაწვდომობის შემცირებასთან დაკავშირებით და ლანდშაფტზე ზემოქმედების სოციალური განზომილებების შეფასება და შერბილება ნაგავთან, ნარჩენებთან და თემის უსაფრთხოებასა და დაცულობასთან დაკავშირებით; და (iv) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. დანართი 2 გათვალისწინებულია ყველა მიმდინარე ღონისძიების სრული

განვითარების ბანკი სესხი 3803). მანილა. ცხრილი 5. <https://lnadbg4.adb.org/dir0035p.nsf/alldocs/JABM-BX83CV?OpenDocument>

³ AMP-ის (პარაგრაფი 190) შესაბამისად მოთხოვნილი გამოსასწორებელი ქმედებები ინდივიდუალურად მოიხსენიება, როგორც „სავალდებულო ღონისძიება“ [შესაბამისობის განხილვის](https://lnadbg4.adb.org/dir0035p.nsf/alldocs/JABM-BX83CV?OpenDocument) შესახებ დასკვნითი ანგარიშის მე-5 ცხრილში, საბჭოს მოთხოვნა No. 2021/1, ჩრდილოეთი-სამხრეთის დერეფნის (ქვეშეთი-კობი) საავტომობილო გზის პროექტი საქართველოში. (აზიის განვითარების ბანკის სესხი 3803) <https://lnadbg4.adb.org/dir0035p.nsf/alldocs/JABM-BX83CV?OpenDocument>

სურათის შესაქმნელად. იგი არ წარმოადგენს RAP-ის ფორმალურ ნაწილს, რადგან ეს ქმედებები არ არის სავალდებულო AMP-ის (პარ. 190) შესაბამისად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შემოთავაზებულია CRP-ის მიერ პირდაპირი და არსებითი ზიანის დარჩენილ რისკებზე რეაგირების მიზნით.⁴

III. განხორციელების ღონისძიებები

8. RAP-ისა და შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის განხორციელება, სავარაუდოდ, დაახლოებით 200,000 აშშ დოლარი დაჯდება და დაფინანსდება ADB-ის სასესხო სახსრებით და არსებული ტექნიკური დახმარების რესურსებით. RAP მოიცავს ქმედებებს და ვადებს, რათა პროექტმა კვლავ დააკმაყოფილოს ADB პოლიტიკა და პროცედურები ან/და, საჭიროებისამებრ, შეამციროს ზიანი. საავტომობილო გზების დეპარტამენტი განხორციელებს აღნიშნულ ღონისძიებებს თუ RAP-ში სხვა რამ არ არის მითითებული. ADB ზედამხედველობას და მონიტორინგს გაუწევს ღონისძიებების განხორციელებას საგარანტიო პოლიტიკის (2009) შესაბამისად.

9. ADB 2024 წლის იანვრისთვის გეგმავს შემოთავაზებული ქმედებების განხორციელებას და დასრულებას. ADB იმუშავებს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, რათა (i) რეგულარულად გაუწიოს მონიტორინგი RAP-ის და CRP-ის მიერ შემოთავაზებული ქმედებების განხორციელებას, ასევე შეაჯამოს ძირითადი მიღწევები საგარანტიო ზომების მონიტორინგის ნახევარწლიურ ანგარიშებში და (ii) მიაწოდოს CRP-ს პროექტის მიმდინარეობის ნახევარწლიური ანგარიშები (მათ შორის, დამადასტურებელი დოკუმენტაცია) 2023 წლის სექტემბრისა და 2024 წლის მარტის ბოლოსთვის. პროექტის მიმდინარეობის ეს ანგარიშები, რომლებიც მოიცავს თითოეული ქმედების სტატუსის განახლებას, საჯაროდ გამოქვეყნდება ADB-ის ვებგვერდზე. CRP-ის მონიტორინგის ანგარიშები ასევე საჯაროდ გამოქვეყნდება ADB-ის ვებგვერდზე, AMP-ის მე-9 დანართის მე-3 (viii) პუნქტის შესაბამისად.

IV. რეკომენდაცია

10. ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის (2012) 191-ე პუნქტის შესაბამისად, პრეზიდენტი რეკომენდაციას უწევს საბჭოს, დაამტკიცოს წინამდებარე დოკუმენტის 1-ელ დანართში მოცემული გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა.

⁴ საბოლოო ანგარიშის მე-5 ცხრილის შენიშვნა ბ, შესაბამისობის შემსწავლელი საბჭოს No 2021/1 მოთხოვნა, ჩრდილოეთი-სამხრეთის დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტი საქართველოში (აზიის განვითარების ბანკის სესხი 3803) <https://lnadbg4.adb.org/dir0035p.nsf/alldocs/JABM-BX83CV?OpenDocument>

გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა

გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა შეეხება შესაბამისობის შემსწავლელი საბჭოს მიერ მოთხოვნილ ღონისძიებებს.

No.	ADB-ის დადგენილი შეუსაბამობა	ღონისძიებების აღწერა	ვადა
მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები			
1(a).	PCR-ის ფონური მდგომარეობის შეფასება	საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოამზადებს ანგარიშს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შეგროვებული PCR-ის ფონური მონაცემების კონსოლიდირების გზით და გამოაქვეყნებს მას პროექტის ვებგვერდზე. ანგარიში მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მეორე შუალედურ ანგარიშს და კულტურული მემკვიდრეობის გენერალურ სამოქმედო გეგმას, ასევე მათ შესაბამის დანართებსა და დამატებებს.	2023 წლის ივნისი
1(b).	კულტურულ ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასება და შემცირება	საავტომობილო გზების დეპარტამენტი პროექტის ვებგვერდზე გამოაქვეყნებს საბოლოო ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმას, რომელიც დამტკიცებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ. ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა მოიცავს კულტურული ლანდშაფტის შეფასებას და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გეოსივრცით ინვენტარიზაციას.	2023 წლის დეკემბერი
		საავტომობილო გზების დეპარტამენტი პროექტის ვებგვერდზე გამოაქვეყნებს ხადის ხეობის განვითარების გეგმის პროექტს, რომელიც წარდგენილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში დასამტკიცებლად. ხადის ხეობის განვითარების გეგმა ინფორმირებული იქნება ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმით და მოიცავს ზომებს კულტურულ ლანდშაფტზე პროექტის ზემოქმედების შესამცირებლად.	2023 წლის დეკემბერი
სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება			
2.	მიწის დროებითი დაკავება კონტრაქტორების მიერ	საავტომობილო გზების დეპარტამენტი (i) მოამზადებს სახელმძღვანელო მითითებებს სამუშაოების კონტრაქტორებისთვის მიწის დროებითი დაკავების კომპლექსური შეფასების შესახებ და (ii) დანერგავს ღონისძიებებს მათი განხორციელებისა და ეფექტურობის მონიტორინგისთვის. სახელმძღვანელო მითითებები შემუშავდება ADB-ის SPS-ის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს ფასის განსაზღვრის, მოლაპარაკებების წარმოების, კომპენსაციის გაცემისა და ხელშეკრულებების გაფორმების პროცედურებს.	2023 წლის სექტემბერი
არანებაყოფლობითი განსახლება			
3	შემოსავლისა და საარსებო წყაროების აღდგენა	საავტომობილო გზების დეპარტამენტი (i) მოამზადებს საარსებო წყაროების აღდგენის დროში განსაზღვრულ გეგმას თემის კონსულტაციებისა და თემის საჭიროებების შეფასების საფუძველზე, გამოაქვეყნებს მას პროექტის ვებგვერდზე და (ii) ინფორმაციას საარსებო წყაროს აღდგენის უფლებების	2023 წლის ივნისი

		<p>შესახებ გადასცემს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ ადამიანებს.</p> <p>საარსებო წყაროს აღდგენის გეგმა ინტეგრირებული იქნება LAR გეგმებში და მოიცავს არაფულადი დახმარების დებულებებს შემოსავლისა და საარსებო წყაროს აღდგენისთვის. გეგმა ორიენტირებული იქნება LAR-ის უშუალო ზემოქმედების ქვეშ მყოფ ყველა ადამიანზე. ამასთან, იგი ხელმისაწვდომი იქნება არაპირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის საპროექტო ტერიტორიაზე.</p>	
		<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი ხელს შეუწყობს არაფულადი დახმარების გაწევას შემოსავლის ან საარსებო წყაროს აღდგენის ან გაუმჯობესების მიზნით, მიზნობრივი და პრაქტიკული სასწავლო სესიებისა და სხვა შესაბამისი ინტერვენციების სახით.</p> <p>ეს დახმარება გააუმჯობესებს ნატურალურ მეურნეობას და სასურსათო უსაფრთხოებას და ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროდუქციის მარკეტინგს, რათა ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილმა ადამიანებმა გააუმჯობესონ, ან, თუნდაც, განსახლების წინა დონემდე აღადგინონ შემოსავლის პოტენციალი, წარმოების დონე და ცხოვრების დონე.</p>	2023 წლის დეკემბერი
მონიტორინგი და ზედამხედველობა			
4.	ADB-ის მონიტორინგი და ზედამხედველობა	<p>ADB (i) შეავსებს არსებული გარემოსდაცვითი და სოციალური კონტროლის ინსტრუმენტს საკითხების გადაწყვეტის პროცედურებით მაღალი რისკის მქონე და გრძელვადიანი საკითხების მოსაგვარებლად და (ii) დანერგავს სისტემას ამ გადაწყვეტის პროცედურების განსახორციელებლად და მათი ეფექტურობის მონიტორინგის მიზნით.</p> <p>პროცედურები შემუშავებული იქნება ADB-ის SPS-ის 58(iv) პუნქტის შესაბამისად და მოითხოვს დროში განსაზღვრული მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმის მომზადებას, რათა პროექტი შესაბამისობაში იქნას მოყვანილი იმ გრძელვადიან საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ იქნა გადაწყვეტილი.</p>	2023 წლის ივნისი
		<p>ADB მოამზადებს შემაჯამებელ ანგარიშს გადაწყვეტის ახალი პროცედურებისა და მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმ(ებ)ის განხორციელების შესახებ, (ასეთი გეგმების არსებობის შემთხვევაში) 2023 წლის ივლის-დეკემბრისთვის.</p>	

ADB = აზიის განვითარების ბანკი, LAR = მიწის შესყიდვა და განსახლება, MEPA = აქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, MOESD = საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, NACHP = საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, PCR = მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, SPS = საგარანტიო პოლიტიკა.

შენიშვნები:

- ყველა დაგეგმილი თარიღი გულისხმობს მოქმედების დასრულებას მითითებული თვის ბოლომდე.
- ხადის ხეობის განვითარების საბოლოო გეგმა გამოქვეყნდება პროექტის ვებგვერდზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დამტკიცების შემდეგ.

3. პროექტის ფარგლებში შემუშავებული მონიტორინგის ყველა სისტემა გამოყენებული იქნება პროექტის განხორციელების განმავლობაში.

შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა

შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა განიხილავს შესაბამისობის შემსწავლელი საბჭოს მიერ შემოთავაზებულ ქმედებებს.

No.	ADB-ის დადგენილი შეუსაბამობა	ღონისძიებების აღწერა	ვადა
გარემოზე ზემოქმედება			
1.	პროექტით გამოწვეული ზემოქმედებების შეფასება და შემცირება	<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოამზადებს IEE-ს გუდაურის მისასვლელი გზისთვის (ჩაქათკარი-სეთურების მონაკვეთი) და გამოაქვეყნებს მას პროექტისა და ADB-ის ვებგვერდებზე.</p> <p>IEE მოიცავს გამოწვეული ზემოქმედების შეფასებას და შემარბილებელ ღონისძიებებს გუდაურსა და ხადის ხეობას შორის პროექტის ფარგლებში შექმნილ კავშირთან მიმართებით.</p> <p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი პროექტის ვებგვერდზე გამოაქვეყნებს ხადის ხეობის განვითარების გეგმის პროექტს, რომელიც წარდგენილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში დასამტკიცებლად.</p> <p>ხადის ხეობის განვითარების გეგმა მოიცავს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების მიგნებებს, რომლებიც ითვალისწინებს პროექტის გამოწვეულ ზემოქმედებას.</p>	<p>2023 წლის ივნისი</p> <p>2023 წლის დეკემბერი</p>
მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები			
2.	PCR-ზე ზემოქმედების შეფასება და შემცირება	<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი სამშენებლო ზედამხედველობის კონსულტანტის მეშვეობით დაამტკიცებს კულტურული მემკვიდრეობის მართვის განახლებულ გეგმებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ლოტი 1-ის და ლოტი 2-ის კონტრაქტორების მიერ.</p> <p>ეს გეგმები მომზადდება ADB-ის SPS მოთხოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციების შესაბამისად (როგორც მითითებულია მეორე შუალედურ ანგარიშში და კულტურული მემკვიდრეობის ზოგად სამოქმედო გეგმაში).</p> <p>გეგმები მოიცავს პროექტის ყველა ინფრასტრუქტურის აცილებისა და შემცირების ღონისძიებებს PCR-ის ფიზიკურ და ვიზუალურ ბუფერულ ზონებში, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონით და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 65 მეტრიანი ბუფერებით აფეთქების წერტილებიდან.</p>	2023 წლის სექტემბერი
3.	PCR-ის უზნებზე ზედამხედველობა	<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი შეიმუშავებს და დანერგავს PCR-ის უზნების რეგულარულ ინსპექტირების სისტემას საპროექტო გზის ფიზიკურ და ვიზუალურ ბუფერულ ზონებში.</p> <p>სისტემა შესაბამისობაში იქნება კონტრაქტორების კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმებთან და ADB-ის SPS-ის 57-ე მუხლთან.</p>	2023 წლის სექტემბერი
სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება			

4.	თემის ხელმისაწვდომობა მიწაზე	საავტომობილო გზების დეპარტამენტი (i) დაამტკიცებს სოფელ ზაქათარის მახლობლად შემოთავაზებული ორი მიწისქვეშა გადასასვლელის დეტალურ პროექტს და (ii) დაავალბებს ლოტი 2-ის კონტრაქტორს მათ აშენებას. მიწისქვეშა გადასასვლელები უზრუნველყოფს თემისათვის დიდველის პლატოს კვლავ ხელმისაწვდომობას.	2023 წლის სექტემბერი
5.	ვიზუალურ ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასება და შემცირება	საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოამზადებს პროექტის ვიზუალური ლანდშაფტის ზემოქმედებისა და მასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებების შეფასებას და გამოაქვეყნებს მას პროექტის ვებგვერდზე. შეფასება მოიცავს ფუჭი ქანების სანაყარობის უზნებს და შერჩეული ადგილების ფოტოსურათების კატალოგს.	2023 წლის დეკემბერი
		საავტომობილო გზების დეპარტამენტი სამშენებლო ზედამხედველობის კონსულტანტის მეშვეობით დაამტკიცებს რეკულტივაციის განახლებულ გეგმებს, რომლებსაც განახორციელებენ 1-ელი და მე-2 ლოტის კონტრაქტორები. ეს გეგმები ითვალისწინებს პროექტის ვიზუალურ ლანდშაფტზე ზემოქმედებას, ADB-ის SPS-ის 56 მუხლის შესაბამისად და ხადის ხეობის განვითარების გეგმის რეკომენდაციებს.	2023 წლის დეკემბერი
6.	ნაგავი, ნარჩენები და თემის უსაფრთხოება და დაცულობა	საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოამზადებს ანგარიშს ნაგავთან, ნარჩენებთან და თემის უსაფრთხოებასა და დაცულობასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებელი ღონისძიებების შესახებ, საპროექტო გზის ექსპლუატაციის დროს, ADB-ის SPS-ის 56-ე მუხლის შესაბამისად.	2023 წლის დეკემბერი
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა			
7.	ნახევარწლიური გარემოსდაცვითი ანგარიშები	საავტომობილო გზების დეპარტამენტი გააფართოებს ანგარიშგებას კონტრაქტორების შეუსაბამობის ნაწილს გარემოსდაცვითი უსაფრთხოების მონიტორინგის ნახევარწლიურ ანგარიშებში, კონტრაქტორების გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის ასახვის მიზნით.	2024 წლის იანვარი
8.	კონკრეტული უზნისა და თემის შესაბამისი მართვის გეგმები	საავტომობილო გზების დეპარტამენტი (i) გამოაქვეყნებს და შეინახავს ყველა უზნისა და თემის სპეციფიკური EMP-ების განახლებულ სიას პროექტის ვებგვერდზე (როგორც ეს მითითებულია 1-ელი და მე-2 ლოტის EMP-ებში) და (ii) მოთხოვნისამებრ უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას.	2023 წლის ივნისი
9.	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ანგარიშები	საავტომობილო გზების დეპარტამენტი პროექტის ვებგვერდზე გამოაქვეყნებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მეორე შუალედურ ანგარიშს და კულტურული მემკვიდრეობის გენერალურ სამოქმედო გეგმას შესაბამის დანართებთან და დამატებებთან ერთად.	2023 წლის ივნისი

ADB = აზიის განვითარების ბანკი, EMP = გარემოს მართვის გეგმა, IEE = საწყისი გარემოსდაცვითი შემოწმება, MOESD = საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, NACHP = საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, PCR = მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, SPS = საგარანტიო პოლიტიკა.

შენიშვნები:

1. ყველა დაგეგმილი თარიღი გულისხმობს მოქმედების დასრულებას მითითებული თვის ბოლომდე.

2. ხადის ხეობის განვითარების საბოლოო გეგმა გამოქვეყნდება პროექტის ვებგვერდზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დამტკიცების შემდეგ.
3. პროექტის ფარგლებში შემუშავებული მონიტორინგის ყველა სისტემა გამოყენებული იქნება პროექტის განხორციელების განმავლობაში.

**შესაბამისობის შემსწავლელი საბჭოს შენიშვნები
გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტთან
დაკავშირებით**



მემორანდუმი
შესაბამისობის შემსწავლელი საბჭო

2023 წლის 11 აპრილი

ადრესატი:	შიქსინ ჩენი ვიცე-პრეზიდენტი (ოპერაციები 1)
ავტორი:	ელისეა გოზუნი თავმჯდომარე, შესაბამისობის შემსწავლელი საბჭო და ამავედროულად ხელმძღვანელი, OCRP
საკითხი:	შესაბამისობის შემსწავლელი საბჭოს შენიშვნები გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმასთან და შემარბილებელი ღონისძიებების გეგმასთან დაკავშირებით; საჩივარი, სესხი 3803-საქართველო: ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტი

I. შესავალი

- შესაბამისობის შემსწავლელმა საბჭომ (CRP) 2023 წლის 30 მარტს ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში ხელმძღვანელობისგან მიიღო გამოსასწორებელი ღონისძიებების შემოთავაზებული გეგმა (RAP). შემოთავაზებული RAP მომზადებულია CRP-ის შესაბამისობის მიმოხილვის დასკვნითი ანგარიშის საპასუხოდ, რომელიც დამტკიცებულია ADB-ის დირექტორთა საბჭოს (საბჭო) მიერ 2023 წლის 24 იანვარს (CRP-ის საბოლოო ანგარიში).
- 2012 წლის ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის (AMP) 190-ე მუხლი მოითხოვს, რათა CRP-მა წარმოადგინოს შენიშვნები ხელმძღვანელობის მიერ შემოთავაზებულ RAP-თან დაკავშირებით. CRP-მა განიხილა შემოთავაზებული RAP და წარმოადგინა შემდეგი დეტალური შენიშვნები:

II. ზოგადი შენიშვნები

- საბჭომ მხარი დაუჭირა შემდეგ მიდგომას, რომელიც წარმოდგენილია CRP-ის საბოლოო ანგარიშის 486-ე პარაგრაფში:

„CRP რეკომენდაციას უწევს საბჭოს, რათა მან: (i) მოსთხოვოს ხელმძღვანელობას გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის მომზადება 2012 წლის ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის 190-ე პარაგრაფის შესაბამისად, რომელიც უნდა მოიცავდეს როგორც სავალდებულო ღონისძიებებს, ასევე CRP-ის მიერ წინამდებარე ანგარიშში შემოთავაზებულ და მე-5 ცხრილში შეჯამებულ ღონისძიებებს; და (ii) უფლებამოსილება მიანიჭოს CRP-ს, მონიტორინგი გაუწიოს ყველა იმ ღონისძიების განხორციელებას, რომელიც გათვალისწინებულია ხელმძღვანელობის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმით, რომელსაც დაამტკიცებს საბჭო.“

4. ამ დოკუმენტში CRP აღნიშნავს, რომ როგორც მთლიანი დოკუმენტი, ასევე 1-ელი დანართი მოიხსენიება, როგორც „გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა“. 1-ელი დანართი მოიცავს იმ სფეროებს, სადაც CRP-ის საბოლოო ანგარიშში, ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის თანახმად, დადგინდა როგორც ADB-ის შეუსაბამობა, ასევე ზიანი. მე-2 დანართი მოხსენიებულია, როგორც „შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა“ და მოიცავს იმ სფეროებს, სადაც CRP-ის საბოლოო ანგარიშში გამოვლენილ იქნა ADB-ის შეუსაბამობა და პირდაპირი და არსებითი ზიანის დარჩენილი რისკი. მიუხედავად იმისა, რომ CRP-ს არ აქვს პრობლემა, იმასთან დაკავშირებით, რომ დანართი 2 მოიხსენიება, როგორც „შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა“, აღსანიშნავია, რომ როგორც დანართი 1, ასევე დანართი 2 შეიცავს დეტალებს განსახორციელებელი ქმედებების შესახებ, რათა პროექტი კვლავ იქნას შესაბამისობაში მოყვანილი ADB-ის შესაბამის პოლიტიკასა და პროცედურებთან ან/და შემცირდეს ზიანი ან ზიანის დარჩენილი რისკი. ეს შეესაბამება AMP-ის 191-ე პარაგრაფს, რომელიც ითვალისწინებს, რომ:

„საბჭო განიხილავს მენეჯმენტის მიერ შემოთავაზებულ გამოსასწორებელ ღონისძიებებს მათი მიღებიდან 21 კალენდარული დღის ვადაში. საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას გამოსასწორებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რათა პროექტი შესაბამისობაში მოიყვანოს ან/და, საჭიროებისამებრ, შეამციროს ნებისმიერი ზიანი“.

5. გარდა ამისა, ამ დოკუმენტის A-C ნაწილებში მოცემულია გამოსასწორებელი და შემარბილებელი ღონისძიებები და მათი განხორციელების ზომები. ამიტომ, როგორც დანართი 1-ით, ისე დანართი 2-ით გათვალისწინებული ქმედებები, ისევე, როგორც, RAP-ის A-C ნაწილების ტექსტი CRP-ის წინამდებარე შენიშვნებთან ერთად, უნდა წარედგინოს საბჭოს დასამტკიცებლად, ხოლო შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგი უნდა განხორციელოს CRP-მა.

6. CRP ყურადღებას ამახვილებს, რომ მისი რიგი ქვემოთ შენიშვნები მიზნად ისახავს 1-ელი და მე-2 დანართებით გათვალისწინებული ქმედებების მიახლოებას CRP-ის მიგნებებთან საგარანტიო პოლიტიკასთან (SPS) შეუსაბამობის შესახებ იმ მიმართულებით, რომლებშიც შემოთავაზებული ქმედებები ეხება შეფასებების განხორციელებას ან/და გამოკვეყნებას, მაგრამ არ ქმნის რაიმე სახის მოლოდინებს აღნიშნული შეფასებების არსებით მახასიათებლებთან მიმართებით. ჩვენი წინადადებაა, ასეთ შემთხვევებში მითითებულ იქნას SPS, რათა უზრუნველვყოთ, რომ CRP-ის მონიტორინგის მანდატის ზედმეტად პირდაპირმა გამოყენებამ არ შეაფერხოს ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის განზრახვა ან მიზანი.

7. CRP ითვალისწინებს A, B და C ნაწილებს 1-ელ და მე-2 დანართებში მოცემული ქმედებების განხორციელების მონიტორინგის პროცესში, კერძოდ, რომ:
- i. „ADB ზედამხედველობას და მონიტორინგს გაუწევს განხორციელებას საგარანტიო პოლიტიკის (2009) შესაბამისად. ADB მხარს დაუჭერს მსესხებელს აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაში ისე, რომ რეაგირება მოახდინოს CRP-ის შესაბამის მიგნებებზე ADB-ის შეუსაბამობასთან დაკავშირებით მითითებულ ვადამდე“, და რომ
 - ii. „ADB მჭიდროდ ითანამშრომლებს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან და (i) მუდმივ მონიტორინგს გაუწევს RAP-ის და CRP-ის მიერ შემოთავაზებული ქმედებების განხორციელებას და ძირითად მიღწევებს შეაჯამებს საგარანტიო მექანიზმების მონიტორინგის ნახევარწლიურ ანგარიშებში, ასევე (ii) მიაწოდებს CRP-ს პროექტის მიმდინარეობის ნახევარწლიურ ანგარიშებს (მათ შორის დამადასტურებელი დოკუმენტაცია) 2023 წლის სექტემბრისა და 2024 წლის მარტის ბოლოსთვის. მიმდინარეობის ეს ანგარიშები მოიცავს თითოეული ქმედების სტატუსის განახლებას და საჯაროდ გამოქვეყნდება ADB-ის ვებგვერდზე.“.
8. დაბოლოს, CRP-ის ქვემოთ მოცემული შენიშვნებით, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შედის ზოგიერთი შემოთავაზებული გამოსასწორებელი და შემარბილებელი ქმედების განხორციელების საბოლოო თარიღში, რათა უზრუნველყოფილი იქნას ეფექტურობის მონიტორინგის შინაარსიანი განხორციელება. CRP მონიტორინგს გაუწევს საბჭოს მიერ დამტკიცებული ქმედებების განხორციელებას AMP-ის 193-ე პუნქტის შესაბამისად.

III. შენიშვნები A-C ნაწილებთან დაკავშირებით

9. **პარ. 5, ნაწილი A:** შემოთავაზებულმა ქმედებებმა პროექტი შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ან/და შეამციროს ზიანი, როგორც ეს მითითებულია AMP-ის 193-ე მუხლში; და არა მხოლოდ შესაბამისობაში მოიყვანოს პროექტი. მაშასადამე, მე-5 პარაგრაფის AMP-ის 191-ე მუხლთან შესაბამისობაში მოსაყვანად, სიტყვების „შესაბამისობაში მოსაყვანად“ შემდეგ უნდა დაემატოს „ან/და ზიანის შესამცირებლად“.
10. **პარ. 6, ნაწილი B:** B ნაწილში როგორც გამოსასწორებელი, ასევე შემარბილებელი ღონისძიების გასათვალისწინებლად, სათაური უნდა იყოს „გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა და შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა“, ხოლო მე-6 პარაგრაფის ბოლოს უნდა დაემატოს შემდეგი წინადადება: „*დამატებითი შემარბილებელი მოქმედებები იმ სფეროებში, სადაც CRP-ის მიერ შემოთავაზებული იყო გამოსასწორებელი ქმედება, მაგრამ არ იყო სავალდებულო ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის 190-ე მუხლის შესაბამისად, მოცემულია მე-2 დანართში*“.
11. **პარ. 7, ნაწილი C:** (i) ამ პარაგრაფში მოხსენიებული უნდა იყოს შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა, ისევე როგორც RAP; და ასევე სრულად უნდა მიეთითოს შესაბამისი პარაგრაფი. AMP-ის 191-ე მუხლის ტექსტი, რომელიც შეიცავს სიტყვებს „ან და ზიანის

შერბილება“; და (ii) განხორციელების ღირებულება უნდა მოიცავდეს როგორც 1-ელი, ასევე მე-2 დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ხარჯებს.

12. **პარ. 9, ნაწილი C:** CRP დაჟინებით მოითხოვს, რომ დოკუმენტი მთლიანად უნდა წარედგინოს საბჭოს დასამტკიცებლად და საბჭომ მიანიჭოს CRP-ს უფლებამოსილება განახორციელოს შესაბამისი მონიტორინგი. აქედან გამომდინარე:

- i. მე-9 პარაგრაფის დასაწყისში მოცემული სიტყვები („რომლის მიზანია RAP-ის შევსება“) ამოღებული უნდა იქნას.
- ii. სიტყვები „რომლებიც ხორციელდება“ ამოღებული უნდა იქნას პირველი წინადადებიდან, რათა თავიდან იქნას აცილებული ამ წინადადების ისე გააზრება, თითქოს მე-2 დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება 1-ელი დანართისგან განსხვავებულია.
- iii. წინადადება, რომელიც იწყება შემდეგნაირად „დანართი 2 გათვალისწინებულია, რათა ეს დოკუმენტი...“ ამოღებული უნდა იქნას.
- iv. წინადადება, რომელიც იწყება შემდეგნაირად „იგი არ წარმოადგენს PAR-ის ფორმალურ ნაწილს“ ასევე ამოღებულ უნდა იქნას, რათა თავიდან იქნას აცილებული ვარაუდი, რომ მე-2 დანართით გათვალისწინებულ ქმედებებს ნაკლები სტატუსი აქვს.
- v. უნდა დაემატოს შემდეგი ბოლო წინადადება: „როგორც დანართი 1, ასევე დანართი 2 და CRP-ის მე-3 დანართში მოცემული შენიშვნები წარმოადგენენ წინამდებარე დოკუმენტის განუყოფელ ნაწილებს.“

IV. შენიშვნები 1-ელ დანართთან: გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმასთან დაკავშირებით

No	ADB-ის დადგენილი შეუსაბამობა	ღონისძიებების აღწერა	ვადა	CRP-ის შენიშვნები
მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები				
1(a)	PCR-ის ფონური მდგომარეობის შეფასება	საავტომობილო გზების დეპარტამენტი ამზადებს ერთ ანგარიშს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შეგროვებული PCR-ის ფონური მონაცემების კონსოლიდირების გზით და აქვეყნებს მას პროექტის ვებგვერდზე. ანგარიში მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მეორე შუალედურ ანგარიშს, კულტურული მემკვიდრეობის გენერალურ სამოქმედო გეგმას და მათ შესაბამის დანართებს/ დამატებებს.	2023 წლის ივნისი	CRP აღნიშნავს, რომ ეს ქმედება და ქვემოთ მოცემული მე-2 დანართით გათვალისწინებული ქმედება ურთიერთდაკავშირებულია. მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შეგროვებული ფონური მონაცემების გამოქვეყნება არ არის საკმარისი ADB-ის შეუსაბამობის გამოსასწორებლად და PCR-თან დაკავშირებით ზიანის შესამცირებლად საბჭოს წინასწარი დამტკიცების ეტაპზე. ადევკატური გამოსასწორებელი ქმედება ასევე დამოკიდებული

				იქნება დამატებითი ფონური შეფასების შედეგად განხორციელებულ პრევენციულ და შემარბილებელ ქმედებებზე. ეს ქმედებები მოცემულია მე-2 დანართში და მათი მოქმედება განიხილება ამ ქმედების პარალელურად CRP-ის მიერ მონიტორინგის დროს.
1(b)	კულტურულ ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასება და შემცირება	საავტომობილო გზების დეპარტამენტი პროექტის ვებგვერდზე აქვეყნებს საბოლოო ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმას, რომელიც დამტკიცებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ. ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა მოიცავს კულტურული ლანდშაფტის შეფასებას და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გეოსივრცით ინვენტარიზაციას.	2023 წლის დეკემბერი	შესაბამისი შესაბამისობის გამოსასწორებლად, შეფასება ადეკვატურად უნდა ასახავდეს პროექტის კულტურულ ლანდშაფტზე ზემოქმედებას და მათ შერბილებას SPS-ის შესაბამისად.
		საავტომობილო გზების დეპარტამენტი პროექტის ვებგვერდზე აქვეყნებს ხადის ხეობის განვითარების გეგმის პროექტს, რომელიც წარდგენილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში დასამტკიცებლად.	2023 წლის დეკემბერი	ხადის ხეობის განვითარების გეგმის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დამტკიცების შემდეგ, საბოლოო გეგმა ასევე უნდა გამოქვეყნდეს პროექტის ვებგვერდზე.
		ხადის ხეობის განვითარების გეგმა ინფორმირებული იქნება ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმით და მოიცავს ზომებს კულტურულ ლანდშაფტზე პროექტის ზემოქმედების შესამცირებლად.		საპროექტო ღონისძიებები კულტურულ ლანდშაფტზე პროექტის ზემოქმედების შესამცირებლად ინტეგრირებული უნდა იყოს საპროექტო დოკუმენტებში, როგორცაა EMP ან/და CHMPs და უნდა აკმაყოფილებდეს SPS-ის მოთხოვნებს. CRP შეაფასებს არის თუ არა ადეკვატური კულტურული ლანდშაფტის შემარბილებელი ღონისძიებები წინამდებარე გამოსასწორებელი ღონისძიებების ფარგლებში SPS-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება				
2.	მიწის დროებითი დაკავება კონტრაქტორების მიერ	საავტომობილო გზების დეპარტამენტი (i) დაამტკიცებს სოფელ ზაქათვარის მახლობლად შემოთავაზებული ორი მიწისქვეშა გადასასვლელის დეტალურ პროექტს და (ii) დაავალებს ლოტი 2-ის კონტრაქტორს მათ აშენებას. მიწისქვეშა გადასასვლელები უზრუნველყოფს თემისათვის დიდველის პლატოს კვლავ ხელმისაწვდომობას.	2023 წლის სექტემბერი	განხორციელებისა და ეფექტურობის მონიტორინგს ადგილი უნდა ჰქონდეს საკმარისად ხანგრძლივ ვადებში, რათა შესაძლებელი იყოს ეფექტურობის შინაარსიანი შეფასება. CRP მიიჩნევს, რომ 2023 წლის სექტემბერი არის სათანადო ვადა (i)-თვის. თუმცა განხორციელების და ეფექტურობის მონიტორინგი პროექტის დასრულებამდე უნდა მოხდეს. უფრო მართებული ქმედება (ii) იქნება „სისტემის მომზადება მათი განხორციელებისა და ეფექტურობის მონიტორინგისთვის“. ეს სისტემა უნდა მომზადდეს 2023 წლის სექტემბრისთვის. ამის შემდეგ დამატებითი ღონისძიება (iii) იქნება სახელმძღვანელო მითითებების შესრულებისა და ეფექტურობის მონიტორინგი პროექტის დასრულებამდე.
არანებაყოფლობითი განსახლება				
3.	შემოსავლისა და საარსებო წყაროების აღდგენა	საავტომობილო გზების დეპარტამენტი (i) აშზადებს საარსებო წყაროების აღდგენის დროში განსაზღვრულ გეგმას თემის კონსულტაციებისა და თემის საჭიროებების შეფასების საფუძველზე, აქვეყნებს მას პროექტის ვებგვერდზე და (ii) ინფორმაციას საარსებო წყაროს აღდგენის უფლებების შესახებ გადასცემს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ ადამიანებს. საარსებო წყაროს აღდგენის გეგმა ინტეგრირებული იქნება LARP გეგმებში და მოიცავს არაფულადი დახმარების დებულებებს შემოსავლისა და საარსებო წყაროს აღდგენისთვის. გეგმა ორიენტირებული იქნება LAR-ის უშუალო ზემოქმედების ქვეშ	2023 წლის სექტემბერი	უკომენტაროდ

		<p>მყოფ ყველა ადამიანზე. ამასთან, იგი ხელმისაწვდომი იქნება არაპირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის საპროექტო ტერიტორიაზე.</p> <p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი ხელს უწყობს არაფულადი დახმარების გაწევას შემოსავლის ან საარსებო წყაროს აღდგენის ან გაუმჯობესების მიზნით, მიზნობრივი და პრაქტიკული სასწავლო სესიებისა და სხვა შესაბამისი ინტერვენციების სახით.</p> <p>ეს დახმარება გააუმჯობესებს ნატურალურ მეურნეობას და სასურსათო უსაფრთხოებას და ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროდუქციის მარკეტინგს, რათა ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილმა ადამიანებმა გააუმჯობესონ, ან, თუნდაც, განსახლების წინა დონემდე აღადგინონ შემოსავლის პოტენციალი, წარმოების დონე და ცხოვრების დონე.</p>	<p>2023 წლის დეკემბერი</p>	<p>CRP არ მიიჩნევს, რომ 2023 წლის დეკემბერი იძლევა ინტერვენციების შინაარსიანი პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას; განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მათი შემუშავება და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის მიწოდება შესაძლებელია მხოლოდ 2023 წლის სექტემბრისთვის განხორციელდეს (იხ. წინა მოქმედება).</p> <p>2024 წლის დეკემბერი წარმოადგენს უფრო სათანადო ვადას, რაც CRP-ს შესაძლებლობას მისცემს მონიტორინგი გაუწიოს არაფულადი დახმარების განხორციელებას ზრდის, წარმოებისა და მარკეტინგის სრული წლის ციკლის ფარგლებში.</p>
მონიტორინგი და ზედამხედველობა				
<p>4.</p>	<p>ADB-ის მონიტორინგი და ზედამხედველობა</p>	<p>ADB (i) შეავსებს არსებული გარემოსდაცვითი და სოციალური კონტროლის ინსტრუმენტს საკითხების გადაწყვეტის პროცედურებით მაღალი რისკის მქონე და გრძელვადიანი საკითხების მოსაგვარებლად და (ii) დანერგავს გადაწყვეტის ამ პროცედურებს და განახორციელებს მათი ეფექტურობის მონიტორინგს. პროცედურები შემუშავებული იქნება ADB-ის SPS-ის 58(iv) პუნქტის შესაბამისად და მოითხოვს დროში განსაზღვრული მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმის მომზადებას, რათა პროექტი შესაბამისობაში იქნას მოყვანილი იმ გრძელვადიან საკითხებთან დაკავშირებით,</p>	<p>2023 წლის ივნისი</p>	<p>(ii) ღონისძიება ხელახლა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად „დანერგავს სისტემას ამ გადაწყვეტის პროცედურების განსახორციელებლად“ (სამიზნე თარიღი 2023 წლის ივნისი), შემდეგ კი უნდა დაემატოს პუნქტი (iii) სიტყვების შემდეგ „პროცედურები და“: „გადაწყვეტის პროცედურების ეფექტურობის მონიტორინგი მათი მიღებიდან პროექტის დასრულებამდე“ (სამიზნე თარიღით, რომელიც შეესაბამება პროექტის დასრულების თარიღს)</p>

	რომლებიც არ იქნა გადაწყვეტილი.		
	ADB მოამზადებს შემაჯამებელ ანგარიშს გადაწყვეტის ახალი პროცედურებისა და მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმ(ებ)ის განხორციელების შესახებ, (ასეთი გეგმების არსებობის შემთხვევაში) 2023 წლის ივლის-დეკემბრისთვის.	2024 წლის იანვარი	უკომენტაროდ

V. შენიშვნები მე-2 დანართთან: შემარბილებელი ღონისძიებების გეგმასთან დაკავშირებით

No	ADB-ის დადგენილი შეუსაბამობა	ღონისძიებების აღწერა	ვადა	CRP-ის შენიშვნები
გარემოზე ზემოქმედება				
1.	პროექტით გამოწვეული ზემოქმედებების შეფასება და შემცირება	საავტომობილო გზების დეპარტამენტი ამზადებს IEE-ს გუდაურის მისასვლელი გზისთვის (ზაქათკარი-სეთურების მონაკვეთი) და აქვეყნებს მას პროექტისა და ADB-ის ვებგვერდებზე. IEE მოიცავს გამოწვეული ზემოქმედების შეფასებას და შემარბილებელ ღონისძიებებს გუდაურსა და ხადის ხეობას შორის პროექტის ფარგლებში შექმნილ კავშირთან მიმართებით.	2023 წლის ივნისი	გამოწვეულ ზემოქმედებებთან დაკავშირებით, ეს ქმედება უნდა მოიხსენიებდეს SPS-ს, რათა უზრუნველყოს არსებითი მოლოდინი შეფასების შინაარსისა და მასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ. ამდენად, ქმედება უნდა იყოს „ <i>IEE მოიცავს გამოწვეული ზემოქმედების SPS-თან შესაბამის შეფასებას და დაკავშირებულ შემარბილებელ ღონისძიებებს ... მიმართებით...</i> “ ეს ის ნიშნულია, რომელთან მიმართებითაც CRP განახორციელებს წინამდებარე ქმედების მონიტორინგს.
		საავტომობილო გზების დეპარტამენტი პროექტის ვებგვერდზე გამოაქვეყნებს ხადის ხეობის განვითარების გეგმის პროექტს, რომელიც წარდგენილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში დასამტკიცებლად. ხადის ხეობის განვითარების გეგმა მოიცავს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების მიგნებებს, რომლებიც	2023 წლის დეკემბერი	მონიტორინგის დროს, CRP განიხილავს პროექტით გამოწვეულ ზემოქმედებაზე რეაგირება ხორციელდება თუ არა ისე, რომ დააკმაყოფილოს SPS-ის მოთხოვნები. KVDP-ის როლის გათვალისწინებით ნებისმიერი უარყოფითი პროექტით გამოწვეული ზემოქმედების მოგვარებაში, მნიშვნელოვანია, რომ ADB-მ

No	ADB-ის დადგენილი შეუსაბამობა	ღონისძიებების აღწერა	ვადა	CRP-ის შენიშვნები
		ითვალისწინებს პროექტის გამოწვეულ ზემოქმედებას.		თვალყური ადევნოს მის განხორციელებას პროექტის ვადის განმავლობაში.
მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები				
2.	PCR-ზე ზემოქმედების შეფასება და შემცირება	<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი სამშენებლო ზედამხედველობის კონსულტანტის მეშვეობით ამტკიცებს კულტურული მემკვიდრეობის მართვის განახლებულ გეგმებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ლოტი 1-ის და ლოტი 2-ის კონტრაქტორების მიერ.</p> <p>ეს გეგმები მომზადდება ADB-ის SPS-ის მოთხოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციების შესაბამისად (როგორც მითითებულია მეორე შუალედურ ანგარიშში და კულტურული მემკვიდრეობის ზოგად სამოქმედო გეგმაში). გეგმები მოიცავს პროექტის ყველა ინფრასტრუქტურის აცილებისა და შემცირების ღონისძიებებს PCR-ის ფიზიკურ და ვიზუალურ ბუფერულ ზონებში, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონით.</p>	2023 წლის სექტემბერი	<p>უკომენტაროდ</p> <p>ეს უნდა ეხებოდეს არა მხოლოდ საპროექტო გზას, არამედ სრულად საპროექტო ინფრასტრუქტურას და შეიცვალოს, რათა ნათელი გახდეს, რომ PCR-ის ირგვლივ იქმნება, ბუფერული ზონები (და არა საპროექტო ინფრასტრუქტურა), როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. გარდა ამისა, როდესაც განიხილება, მოიცავს თუ არა გეგმები „CRP-ის ფიზიკური და ვიზუალური ბუფერული ზონებიდან ყველა საპროექტო ინფრასტრუქტურის“ თავიდან აცილებისა და შემარბილებელ ღონისძიებებს, გათვალისწინებული უნდა იქნას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ პროექტთან დაკავშირებით აფეთქების წერილიდან 65მ-იანი ბუფერის გამოყენება. გარდა ამისა, ამ ღონისძიებამ უნდა უზრუნველყოს</p>

No	ADB-ის დადგენილი შეუსაბამობა	ღონისძიებების აღწერა	ვადა	CRP-ის შენიშვნები
				<p>კულტურული მემკვიდრეობის იმ ობიექტებისა და ძეგლების პროექტისთვის პოტენციური შესაბამისობის გათვალისწინება, რომლებიც იდენტიფიცირებული და ინვენტარიზირებული იქნა ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმაში, მაგრამ არა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ადრინდელ სამუშაოებში; ე. ი. იმ შემთხვევებში, როდესაც პროექტის ინფრასტრუქტურა იმყოფება ასეთი ობიექტებისა და ძეგლების ფიზიკურ და ვიზუალურ ბუფერულ ზონებში. CRP შესაბამის მონიტორინგს გაუწევს ამ ქმედების განხორციელებას. CRP კიდევ ერთხელ იმეორებს საბოლოო ანგარიშში განსაზღვრულ მოლოდინს, რომ პროექტის განხორციელება დაიცავს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შეზღუდვებს პირველადი დაცვის ზონების შესახებ, მშენებლობის რისკების შემცირების დროს იმ ობიექტებისა და ადგილებისთვის, რომლებიც ადრე დროებით ჩამონათვალში იყო შეტანილი და რომელთა სიაში შეტანა კვლავ რეკომენდებულ იქნა ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის მომზადების პროცესში.</p> <p>#2 ღონისძიების განხორციელების მონიტორინგისას, CRP-ის შეუსაბამობისა და მასთან დაკავშირებული ზიანის რისკზე რეაგირების მიზნით,</p>

No	ADB-ის დადგენილი შეუსაბამობა	ღონისძიებების აღწერა	ვადა	CRP-ის შენიშვნები
				CRP განიხილავს ადეკვატურად ასახავს თუ არა კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმები SPS-ის გარემოსდაცვითი გარანტიების მე-4 პრინციპში დადგენილ იერარქიას
3.	PCR-ის უზნებზე შედამხედველობა	საავტომობილო გზების დეპარტამენტი შეიმუშავებს და დანერგავს PCR-ის უზნების რეგულარულ ინსპექტირების სისტემას საპროექტო გზის ფიზიკურ და ვიზუალურ ბუფერულ ზონებში. სისტემა შესაბამისობაში იქნება კონტრაქტორების კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმებთან და ADB-ის SPS-ის 57-ე მუხლთან.	2023 წლის სექტემბერი	2023 წლის სექტემბრის სამიზნე თარიღი შესაბამისია სისტემის შემუშავებისთვის. თუმცა, სისტემის დანერგვა მისი შემუშავების შემდგომ, გაწერილი უნდა იყოს პროექტის სრულ პერიოდზე.
სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება				
4.	თემის ხელმისაწვდომობა მიწაზე	საავტომობილო გზების დეპარტამენტი (i) ამტკიცებს სოფელ ზაქათკარის მახლობლად შემოთავაზებული ორი მიწისქვეშა გადასასვლელის დეტალურ პროექტს და (ii) ავალებს ლოტი 2-ის კონტრაქტორს მათ აშენებას. მიწისქვეშა გადასასვლელები უზრუნველყოფს თემისათვის დიდველის პლატოს კვლავ ხელმისაწვდომობას.	2023 წლის სექტემბერი	უკომენტაროდ
5.	ვიზუალურ ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასება და შემცირება	საავტომობილო გზების დეპარტამენტი ამზადებს პროექტის ვიზუალური ლანდშაფტის ზემოქმედებისა და მასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებების შეფასებას და აქვეყნებს მას პროექტის ვებგვერდზე. შეფასება მოიცავს ფუჭი ქანების სანაყაროების უზნებს და შერჩეული ადგილების ფოტოსურათების კატალოგს.	2023 წლის დეკემბერი	ლანდშაფტის ვიზუალური ზემოქმედებისა და მასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებების შეფასება უნდა მომზადდეს SPS-ის შესაბამისად, ლანდშაფტზე ზემოქმედების როგორც გარემოსდაცვითი, ისე სოციალური განზომილებების გათვალისწინებით. მონიტორინგის პროცესში CRP განიხილავს არის თუ არა შეფასება და მასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებები ადეკვატური

No	ADB-ის დადგენილი შეუსაბამობა	ღონისძიებების აღწერა	ვადა	CRP-ის შენიშვნები
				SPS-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
		საავტომობილო გზების დეპარტამენტი სამშენებლო ზედამხედველობის კონსულტანტის მეშვეობით ამტკიცებს რეკულტივაციის განახლებულ გეგმებს, რომლებსაც განახორციელებენ 1-ელი და მე-2 ლოტის კონტრაქტორები. ეს გეგმები ითვალისწინებს პროექტის ვიზუალურ ლანდშაფტზე ზემოქმედებას, ADB-ის SPS-ის 56 მუხლის შესაბამისად და ხადის ხეობის განვითარების გეგმის რეკომენდაციებს.	2023 წლის დეკემბერი	უკომენტაროდ
6.	ნაგავი, ნარჩენები და თემის უსაფრთხოება და დაცულობა	საავტომობილო გზების დეპარტამენტი ამზადებს ანგარიშს ნაგავთან, ნარჩენებთან და თემის უსაფრთხოებასა და დაცულობასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებელი ღონისძიებების შესახებ, საპროექტო გზის ექსპლუატაციის დროს, ADB-ის SPS-ის 56-ე მუხლის შესაბამისად.	2023 წლის დეკემბერი	უკომენტაროდ
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა				
7.	ნახევარწლიური გარემოსდაცვითი ანგარიშები	საავტომობილო გზების დეპარტამენტი აფართოებს ანგარიშგებას კონტრაქტორების შეუსაბამობის ნაწილში გარემოსდაცვითი უსაფრთხოების მონიტორინგის ნახევარწლიურ ანგარიშებში, კონტრაქტორების გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის ადეკვატურად ასახვის მიზნით.	2023 წლის იანვარი	უკომენტაროდ
8.	კონკრეტული უბნისა და თემის შესაბამისი მართვის გეგმები	საავტომობილო გზების დეპარტამენტი (i) აქვეყნებს და ინახავს ყველა უბნისა და თემის სპეციფიკური EMP-ების	2023 წლის ივნისი	უკომენტაროდ

No	ADB-ის დადგენილი შეუსაბამობა	ღონისძიებების აღწერა	ვადა	CRP-ის შენიშვნები
		განახლებულ სიას პროექტის ვებგვერდზე (როგორც ეს მითითებულია 1-ელი და მე-2 ლოტის EMP-ებში) და (ii) მოთხოვნისამებრ უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას.		
9.	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ანგარიშები	საავტომობილო გზების დეპარტამენტი პროექტის ვებგვერდზე აქვეყნებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მეორე შუალედურ ანგარიშს და კულტურული მემკვიდრეობის გენერალურ სამოქმედო გეგმას შესაბამის დანართებთან და დამატებებთან ერთად.	2023 წლის ივნისი	უკომენტაროდ

შენიშვნა: ყველა დაგეგმილი თარიღი გულისხმობს შესაბამისი მოქმედების დასრულებას მითითებული თვის ბოლომდე.

ADB = აზიის განვითარების ბანკი, EMP = გარემოს მართვის გეგმა, IEE = საწყისი გარემოსდაცვითი შემოწმება, LARP = მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა, MOESD = საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, NACHP = საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, PCR = მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, RD = საავტომობილო გზების დეპარტამენტი, SPS = საგარანტიო პოლიტიკა.

ასლი: ევგენი ჟუკოვი, გენერალური დირექტორი, CWRD

ქსიაოჰონგ იანგი, გენერალური დირექტორის მოადგილე, CWRD

ჯესპერ პეტერსენი, კონსულტანტი და ხელმძღვანელი, პორტუგელის, შედეგების, გარანტიებისა და გენდერის განყოფილება, CWRD

კამელ ბუჰმადი, აქტივების პორტუგელის მართვის უფროსი სპეციალისტი, GRM

ფილიპ როუზი, თავმჯდომარე, BCRC

ალბერტო სერდანი, თავმჯდომარის მოადგილე, BCRC

მდ. აზიზულ ალამი, წევრი, BCRC

სან თიდა, წევრი BCRC

დამიენ ჰორიამბე, წევრი BCRC

მოუშუმი ხანი, წევრი BCRC

ჰალინა უორდი, წევრი BCRC

ვაიდესვარან სანკარანი, წევრი BCRC

ირუმ აჰსანი, მრჩეველი, OCRP